როსტომ ცინცაძეს

ბატონო როსტომ

კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გეგზავნებათ 2026 წლის 31 აგვისტოს #SGG 2026-024/1-ჯ დადგენილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ დადგენილების საფუძველზე დაგერიცხებათ შესაბამისი ოდენობის მიყენებული ზიანი, მათ შორის სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 09 ივლისის #12 დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

დანართი: დადგენილება (6 ფ)

პატივისცემით:

ქ.ბათუმი დადგენილება #SGG 2026-024/1-ჯ 31/08/2026წ

დაჯარიმების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

1) დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): შპს " სოკარ ჯორჯია გაზი" აჭარის რეგიონალური ოფისის უფროსი იურისტი გელა სირაძე.
2) საქმის განხილვის თარიღი: 31/08/2026წ
3) ცნობები იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე: როსტომ ცინცაძე (პ#61006036600)

საქმის ირგვლივ: ბათუმი, დასახლება მახო-ში, ორ სხვადასხვა ლოკაციაზე აბ#1117663524 და აბ#1118388021 ბუნებრივი გაზის მომხმარებელ აბონენტად რეგისტრირებული როსტომ ცინცაძე რომელსაც ბუნებრივი გაზი მიეწოდებოდა აბ#1117663524 ნომრით მითითებულ მისამართზე 06552271 მრიცხველით, ხოლო აბ#1118388021 აბონენტის ნომრით მითითებულ მისამართზე 06583705 მრიცხველით

ორთავე მისამართზე (ლოკაციაზე) 2026 წლის 25 მაისს განხორციელებული გეგმიურ გამაფრთხილებელი სამუშაოების დროს დადგინდა, რომ 06552271 და 06583705 მრიცხველებს აღენიშნება გარეშე საგნის ზემოქმედების კვალი ბჯენის და დაზიანების სახით.

შემდგომი შემოწმების მიზნით აღნიშნული მრიცხველი გაიგზავნა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, მიღებული 004355326 დასკვნით დადგინდა, რომ მრიცხველებს გააჩნიათ გარეშე საგნის ზემოქმედების კვლები, ბჯენის მთლიანობისა და მთვლელი მექანზმის დაზიანება დარღვევის სახით.

2026 წლის 29 ივლისს შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები #SGG008115 და #SGG008117 რომელიც ადრესტს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით, მასვე გაეგზავნა უწყება 2026 წლის 31 აგვისტოს 12 საათზე დანიშნული სხდომის შესახებ. გზავნილი ჩაბარდა. მიუხედავად იმისა, რომ ადრესატისთვის ცნობილი იყო სხდომის დრო და ადგილი, ეს უკანასკნელი არ გამოცხადებულა სხდომაზე და არც რაიმე სახის განცხადება წარმოუდგენია სხდომის გადადების ან გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის შესახებ.

შეფასება სამართლებრივი გარემოებებს შესახებ;

მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევის კანონით დადგენილი წესის შესაბამისად საქმისწარმოება გაერთიანდა, რომლი შესწავლის საფუძველზე განვმარტავ, რომ; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის 96-ე პირველი პრიმა მუხლით: ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატის, გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის)

ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით. 264-ე მუხლის თანახმად კი ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 09 ივლისის #12 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტით 1) **ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთება,** შეწყვეტილი ბუნებრივი გაზის მიწოდების თვითნებური აღდგენა, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანება (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის მოხმარება (გარდა ამ წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა). 6) მომხმარებელს, რომელიც უკანონოდ სარგებლობდა განაწილების ლიცენზიატის მომსახურებით, გარდა განაწილების ლიცენზიატისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციისა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება დაეკისროს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 09 ივლისის #12 დადგენილების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მომხმარებელი პასუხისმგებელია აღრიცხვის კვანძის, ასევე, მისი შემადგენელი მრიცხველების, დანადგარებისა და

სხვა სახის მოწყობილობების შენახვაზე, როდესაც აღრიცხვის კვანძი მოწყობილია მომხმარებლის მფლობელობაში არსებულ დაცულ ტერიტორიაზე (ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება მომხმარებლის კუთვნილი ტერიტორიის გარეთ მოწყობილი აღრიცხვის კვანძის დაზიანების შემთხვევებზე).

შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ცნობით როსტომ ცინცაძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1- ლი მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსლიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსლიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით –გამოიწვევს გაფრთხილებას. დასახელებული ამკრძალავი ნორმის მიხედვით ბუნებრივი აირის დატაცების ფორმას, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი აირის მოხმარება განხორციელდეს აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით. შესაბამისად საქმის განხილვისას უპირველ ყოვლისა უნდა დადგინდეს რა ფორმით მოიხმარდა როსტომ ცინცაძე ბუნებრივ აირს. მას ბუნებრივი აირი მიეწოდებოდა თუ არა ღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით. ასევე უნდა დადგინდეს როსტომ ცინცაძის როლი აღრიცხვის გარეშე, ან აღრიცხვის წესების დარღვევით ბუნებრივი აირის მოხმარებაში.

ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობის წესების დაცვის ზედამხედველობა, წარმოადგენს სპეციფიკური საქმიანობის სფეროს. ამ საქმიანობის პროცესში კომპანია ვალდებულია გამოავლინოს ცალკეული სამართალდარღვევები, ობიექტურად შეაფასოს მათი ხარისხი და მისცეს შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაცია. კომპანიის თანამშრომლის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენისას, შესაბამის ოქმში აისახება დარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი და შემოწმების შედეგები, რაც თავის მხრივ ნიშნავს

იურიდიული ფაქტის დაფიქსირებას და დამრღვევის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექით განსაზღვრულია, რომ 96 პირველი პრიმა მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართადარღვევის საქმეები განიხილოს ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატებმა და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებმა ან მათ მიერ უფლებამოსილმა ფიზიკურმა ან/და იურიდიულ პირებმა. მოცემულ შემთხვევაში შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი" ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატია და მას გააჩნია უფლება როსტომ ცინცაძის მიმართ სამართალდარღვევის საქმის განხილვისა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 09 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ,,ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთება, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბჯენის განზრახ დაზიანება(აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის(აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის მოხმარება(გარდა ამ წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა)".

ასკ 38-ე მუხლის თანახმად პირის მიერ რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას მას ადმინისტრაციული სახდელი თითოეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ცალკე დაედება.

2. თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს, მას ადმინისტრაციული სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო მძიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის. ამ შემთხვევაში ძირითად ადმინისტრაციულ სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი იმ სახდელთაგან, რომლებსაც ითვალისწინებს რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლი.

ამავე კოდექსის 96-ე პრიმა მუხლით კი ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიანტის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსლიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსლიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით –გამოიწვევს გაფრთხილებას. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებული არ არიან) დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის,

იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად არიან რეგისტრირებული) დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.
შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდიდან (rs.ge)მიღებული ინფორმაციის თნახმად როსტომ ცინცაძე რეგისტრირებული არამეწარმე ფიზიკურ პირად და იგი არ არის დარეგისტრირებული როგორც დღგ-ს გადამხდელი, შესაბამისად, ასკ 38-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (სახდელის დადება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო მძიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, მოიცავს ასკ 96-ე პრიმა მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ წესს. (იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

საქმეში არსებული ამ და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, სამართადარღვევის ოქმის, გგს აქტის, პირადი ბარათის, დალუქვის აქტის, ფოტო მტკიცებულებებისა და ექსპერტიზის დასკვნის შესწავლის საფუძველზე დადგენილად მიმაჩნია, რომ როსტომ ცინცაძის მიერ ჩადენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ეს უკანასკნელი ბრალეულია მის ჩადენაში, მის მიერ ჩადენილი ქმედება ექვემდებარება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები რის გამოც:

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 9 ივლისის #12, ამავე კომისიის 14-ე დადგენილების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მე-8, 10-ე, 96 პირველი პრიმა, 38-ე, 236-ე, 264-ე , მე-200, 228-ე, 236-237-ე, 266-268-ე მუხლებით

დავადგინე

1) როსტომ ცინცაძე (პ#61006036600) (აბ#1117663534 და აბ 1118388021) ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმა 100 ლარის ოდენობით
2) აღნიშნული თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში: **TRESGE22**, სახაზინო კოდი: №**302003247**. დაჯარიმებული პირის მიერ დაჯარიმებიდან ერთი თვის ვადაში ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილება იძულებით აღსასრულებლად მიექცევა „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
3) დაევალოს როსტომ ცინცაძეს ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოადგინოს ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
4) იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ფიზიკური პირის (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური

მეწარმისა) დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებული არ არიან) დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის, იურიდიული პირისა და დაწესებულების (რომლებიც დღგ-ის გადამხდელებად არიან რეგისტრირებული) დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით.

5) დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის.: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: